

**„ვეფხისტყაოსნის“ ერთი მოტივი პოემაში  
„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“<sup>1</sup>**

**კოტე ლომიძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ რეცეფცია ილია ჭავჭავაძის პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. სტატიის ძირითადი მიზანია იმ ტექსტობრივი და კონცეპტუალური პარალელების გამოკვეთა, რომლებიც კაკოსა და ზაქარას შეხვედრის სცენას რუსთაველის გმირთა დამეგობრების ეპიზოდებთან აკავშირებს.

ტექსტობრივი პარალელების საფუძველზე დასაბუთებულია, რომ ილია ჭავჭავაძე პერსონაჟთა ურთიერთობისას ეყრდნობა „ვეფხისტყაოსნისეულ“ „მოწონების“ მოტივს, რომლის მიხედვითაც დამეგობრების საფუძველია გარეგნული შთაბეჭდილება და სოციალური თუ სულიერი ნათესაობის მყისიერი შეგრძნება. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ილიას გმირებს შორის არსებული ნდობა (ზოგიერთი მკვლევრისთვის ფსიქოლოგიურად არადამაჯერებელი), რუსთაველური ტრადიციით უნდა იყოს ნაკარნახევი.

---

<sup>1</sup> კვლევა (PHDF-21-914) განხორციელდა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით.

ლექსიკური ანალიზის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ კაკოსა და ზაქარას შეხვედრა ტარიელ-ფრიდონისა და ავთანდილ-ფრიდონის დამეგობრების სცენების მხატვრულ ანალოგს წარმოადგენს.

**საკვანძო სიტყვები:** „კაკო ყაჩაღი“, „ვეფხისტყაოსანი“, მეგობრობის კონცეფცია, რეცეფცია, მოწონება

„ვეფხისტყაოსნის“ როლი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში განუზომლად დიდია. მწერალი რუსთველის პოემას აზრისა და გრძნობის ზღვას უწოდებს და ხშირად მიმართავს მას მხატვრულ შემოქმედებასა თუ პუბლიცისტურ წერილებში. არცთუ იშვიათად იგი ასახელებს „ვეფხისტყაოსნიდან“ მომდინარე თვალსაზრისისა თუ მოტივის წყაროს, მაგრამ ზოგჯერ საგანგებო დაკვირვებაა საჭირო რუსთველური ელემენტის ამოსაცნობად. წერილში ერთ-ერთ ამგვარ შემთხვევაზე იქნება საუბარი.

ილია ჭავჭავაძის პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ ყურადღებას იქცევს ზაქარასა და კაკოს შეხვედრის სცენა. ხის ქვეშ მძინარ ბლაჭიაშვილს ცხენოსნის მიახლოება გამოარკვევს ძილიდან და მოსალოდნელ საფრთხეს თოფმომარჯვებული დახვდება. „რისთვის მოსულხარ, – მოყვრად თუ მტრად?“ (ჭავჭავაძე, 1987, გვ. 117) – ამ შეკითხვაზე მხედრის პასუხი (რომ იგი მოყვრადაა მოსული) კაკოს სრულიად დააკმაყოფილებს. ერთი შეხედვით ამ ეპიზოდს ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა აკლია, რაც შენიშნულია კიდევ ილიას შემსწავლელ მეცნიერებაში:

„მკითხველი ისე გატაცებით კითხულობს პოემის ამ ადგილს, რომ იგი ალბათ ვერც დაეჭვდება, თუ რამდენად სწრაფად ხვდება ყოველივე ეს, და თვით ავტორის მიერ დახასიათებული კაკო, ესოდენ ფრთხილი, წინდახედული, ეჭვიანი, ფიცხი (დააკვირდით, ცხენიც ფრთხილი ჰყავს), როგორ სწრაფად, თითქმის ეჭვიმუტანლად ენდობა და უმაღლეს მიიღებს მეგობრად მისთვის სრულიად უცნობ ადამიანს – ზაქროს. შეიძლება აქ შენიშვნა გაგვეკეთებინა ახალგაზრდა ავტორისთვის, რომ მისი გმირის ფსიქოლოგიური ბუნება (სიფრთხილე, ეჭვი), აქ, ყველაზე გადამწყვეტ მომენტში, აღარა ჩანს, გამქრალია. კაკო ერთი სიტყვით – მოყვარე ვარო – კმაყოფილდება და უცნობ კაცს გამარჯვებას ეუბნება, ჩვენი გაცნობა კეთილი იყოსო, რასაც ყაჩაღის უაღრესად ფრთხილი ბუნება ასე ერთბაშად ვერ დაუშვებდა. მაგრამ მკითხველი ამ ერთგვარ ფსიქოლოგიურ შეუსაბამობას ვერც გრძნობს, ვინაიდან პოემა, კერძოდ, ნაწარმოების ეს ადგილი არაჩვეულებრივი ექსპრესიულობით ვითარდება, მდგომარეობა დამაბუღია, სათავგადასავლო ამბავი ძალიან საინტერესოა და ამ „დეტალს“ ყურადღებას აღარ აქცევს“ (ჯიბლაძე, 1983, გვ. 408-409). მკვლევრის ეს თვალსაზრისი საყურადღებოა. მე-19 საუკუნის ესთეტიკით ამ პასაჟის ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა მართლაც რთულად აიხსნება.

მხედარი ბლაჭიაშვილის ვინაობის დაზუსტების შემდეგ მოსვლის მიზეზს განმარტავს, მას სურს კაკოს შეუერთდეს: „შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი, / შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა“ (ჭავჭავაძე, 1987, გვ. 118)<sup>2</sup>. ბლაჭიაშვილი ამ პასუხით კმაყოფილი ჩანს:

---

<sup>2</sup> აქ და შემდგომ პოემას ვიმოწმებ შემდეგი გამოცემიდან: რუსთაველი, შ. (1988). *ვეფხისტყაოსანი*. მეცნიერება. შდრ. ავთანდილი ეუბნება ტარიელს „შენ გახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა“ (295).

„- მომწონს ეგ სიტყვა... შენც მომეწონე<sup>3</sup>  
და ამისთვისაც გენდობი შენა.“ (ჭავჭავაძე, 1987, გვ. 118)

როგორც კაკოს პასუხიდან ვიგებთ, ნდობის მიზეზი ყოფილა მოწონება. ყაჩაღს მოსწონებია ახალმოსული და ამიტომაც ნდობია. ეს რომ შემთხვევითი მოტივი არ არის, კარგად ჩანს მომდევნო ეპიზოდშიც:

„შემდეგ მოვიდა იგი სტუმარი,  
კაკოს პირდაპირ დადგა მდუმარი.  
მათ ერთმანეთი თვალით გაზომეს,  
და მოეწონნენ ორნივე ერთმანეთს.“ (ჭავჭავაძე, 1987, გვ. 119)

მოყვანილი მაგალითებიდან დავინახეთ, რომ პოემის პერსონაჟთა ნდობასა და დამეგობრებას განაპირობებს მოწონება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კაკო ყაჩაღი ენდობა ზაქარას, რადგან მოეწონება იგი, ხოლო მხედარს წინასწარჩამოყალიბებული აზრი აქვს ბლაჭიაშვილის მიმართ და ნდობის საკითხი არ უდგას. კეთილგანწყობასა და დამეგობრებაში კი ორივეს შემთხვევაში მოწონება ასრულებს

---

ზაქარას სიტყვები, გარდა შინაარსისა, ფორმის თვალსაზრისითაც მოგვაგონებს რუსთველს. როგორც ცნობილია, რუსთველის ენისათვის ერთ-ერთი მახასიათებელია გამეორება. მაგ., „შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი“ (757). მ. გუგუშვილი წერილში „ვეფხისტყაოსანი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“ წერს, რომ „ილია ჭავჭავაძე დასესხებია რუსთველის მხატვრული ენის რიგ თავისებურებას“ (გუგუშვილი, 1989, გვ. 138) და სანიმუშოდ ილიას ზემოთ დასახელებული სტრიქონებიც მოჰყავს.

<sup>3</sup> ხაზგასმა ყველგან ჩემია.

მთავარ როლს, რასაც ავტორი ხაზს უსვამს კიდევ. მოწონება აქ მხოლოდ ესთეტიკური კატეგორია კი არა, სულიერი ნათესაობის მყისიერი აღქმაა.

ილია ჭავჭავაძის პოემის პერსონაჟთა შეხვედრა-დამეგობრება მოგვაგონებს „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა დამეგობრების სცენებს. მაგალითად მოვიყვან ტარიელ-ფრიდონის შეხვედრის ეპიზოდს. კერძოდ, ტარიელი, რომელსაც ნესტანის ძებნაში მხლებლები შემოეფანტა, ერთ ქალაქს მიადგა და „მოსვენებად გარდახდა“, რა დროსაც უცნაური სურათის მხილველი შეიქნება:

„[ზახილი](#) მესმა, შევხედენ, [მოყმე](#) ამაყად [ყოდა](#),  
[შემოირბედა](#) ზღვის პირ-პირ,  
მას [თურე წყლული](#) სტკიოდა,  
ხრმლისა ნატეხი დასვრილი აქვს, სისხლი ჩამოსდიოდა,  
მტერთა [ექადდა](#), წყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა.“ (591)

ტარიელი შეწუხებულია შეურაცხყოფილი რაინდის ხილვით და მისი ბედით ინტერესდება, ფრიდონთან შეხვედრას მოისურვებს და მსახურს გაუგზავნის: „შევსთვალე: „დადეგ, მიჩვენე, ლომსა ვინ [გაწყენს](#), რომელი?“ (592) – ამ ტაეპში კარგად ჩანს, რომ ტარიელს უბრალო ცნობისმოყვარეობა არ ამოძრავებს. მას ხასიათი აქვს მოშხამული, რადგან ნესტანის ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო და არავის ნახვა არ სურს, რაც აღნიშნულია კიდევ მოცემულ ტაეპში: „არ მეამის კაცთა ნახვა, მიდაღვდის გულსა მური“ (598). ინტერესის მიზეზი ისაა, რომ ტარიელს მოეწონა უცნობი რაინდი, სიმპათიით განეწყო მის მიმართ, რასაც ზემოდასახელებულ ტაეპში გამოყენებული მეტაფორაც

ადასტურებს („ლომსა ვინ გაწყენს, რომელი?“ [592])<sup>4</sup>. თუკი მოყვანილ მაგალითსა და არგუმენტებს რამდენადმე დამაჯერებლობა აკლია „კაკო ყაჩაღთან“ ნათესაობის მხრივ (მაგალითად, ეს პარალელი შესაძლოა ზოგად რაინდულ ეთოსს მივაწეროთ), „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი ეპიზოდი უფრო თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ილია ჭავჭავაძის პოემასთან მიმართებას და ეჭვგარეშეს ხდის ტექსტურ კავშირს. ფრიდონი ყურადღებას არ მიაქცევს ამბის გასაგებად მისულ მონას და ტარიელს თავად მოუხდება დაჭრილ მოყმესთან მისვლა:

„მას მონასა არა უთხრა, არცა სიტყვა მოუსმინა;  
ფიცხლა შევჯე, ჩავეგებე, მე ჩავუსწარ, ჩავე წინა,  
ვუთხარ: „დადეგ, გამაგონე, შენი საქმე მეცა მინა!“  
**შემომხედნა, მოვეწონე, სიარული დაითმინა.**“ (593)

ფრიდონს მოეწონა ტარიელი, თავისი ბედით დაინტერესებული რაინდი, მეტიც, იგი აღფრთოვანებულია: „გამიცადა, ღმერთსა ჰკადრა: „შენ ასეთნი ხენი ვით ხენ!“ (594). ვფიქრობ, რუსთველის პოემის ეს მონაკვეთი უნდა იყოს შთამაგონებელი ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების ზემოთ განხილული ეპიზოდისა. ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანში“, მოწონება ხდება საფუძველი „კაკო ყაჩაღის“ პერსონაჟთა დამეგობრებისა, თანაც ორივე შემთხვევაში ეს ყოველივე გამოიხატება ლექსიკური ხაზგასმით. ილიას პოემის გმირთა შეხვედრის სცენა რომ რუსთაველის პოემის რეცეფციას უნდა წარმოადგენს, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ მას შემდეგ, რაც

---

<sup>4</sup> ზოგადრაინდული მოტივის გარდა, საყურადღებოა, რომ ტარიელმა ფრიდონში დაინახა საკუთარი თავის ანარეკლი, რადგან ინდოელი ჭაბუკიც მულღაზანზარის მბრძანებლის მსგავსად „დაჭრილი“ და მარტოხელა მებრძოლია.

„მოეწონენ ორნივ ერთმანეთს“, ავტორი ამბობს: „მივიდნენ წყნარად და ხის ძირს დასხდნენ“ (ჭავჭავაძე, 1987, გვ. 119). „ვეფხისტყაოსანში“ ფრიდონის აღტაცებული შემახილის მერე ტარიელი ამბობს: „მე ვუთხარ: „დადეგ, დაწყნარდი, გარდავხდეთ ძირსა ხეთასა“ (595) და „თანა წამომყვა, წავედით უტკბოსნი მამა-ძეთასა“ (595). ეს პარალელი სხვა შემთხვევაში ძალდატანებად გამოჩნდებოდა, რადგან ორივე პოემაში ამ სიტყვათა ფუნქცია პერსონაჟთა სამოქმედო არის გათვალისწინებით ერთობ პროზაულია, მაგრამ, ჩემი აზრით, კონტექსტის მეშვეობით ეს პარალელიც არგუმენტის ძალას იძენს (საყურადღებოა „წყნარ“ ძირის სიტყვაც, რომლის გამოყენებაც, ხის ძირას დასხდომისგან განსხვავებით, სულაც არ იყო მოსალოდნელი ილიას პოემაში). არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ „კაკო ყაჩაღს“ ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს რუსთველის სტრიქონები.

„ვეფხისტყაოსანში“, გარდა ზემოთ მოყვანილი შემთხვევისა, კიდევ არაერთი ეპიზოდია, როდესაც გმირთა დამეგობრებას წინ უძღვის ერთმანეთის მოწონება და ხაზგასმა ამისა. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ ავთანდილისა და ფრიდონის შეხვედრის ეპიზოდი, რომელიც ფრაზეოლოგიურადაც მოგვაგონებს „კაკო ყაჩაღს“. ერთმანეთისთვის სრულიად უცხო ადამიანების შეხვედრას რუსთაველი შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს:

„მოეხვივნეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დარიდონ,  
თვით უსახოდ ფრიდონს ყმა და მოეწონა ყმასა ფრიდონს;“  
(984)

---

<sup>5</sup> შდრ. ილიას სიტყვებს: „მოეწონენ ორნივ ერთმანეთს“.

იგივე ვითარება გვაქვს ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრისასაც. ზოგადად, რუსთველოლოგიაში შენიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი „გმირთა პირველი შეხვედრის აღწერისას ყოველთვის აქცევს ყურადღებას მათ სილამაზესა და მომხიბვლელობას. უფრო მეტიც, ავტორი ყველა შემთხვევაში გახაზავს იმას, რომ გმირებმა ერთმანეთზე მოახდინეს დიდი შთაბეჭდილება, რომ მათ მოეწონათ ერთმანეთი“ (ხინთიბიძე, 2009, გვ. 573). მაშასადამე, პოემის გმირთა დამეგობრებას მოწონება უდევს საფუძვლად. თუკი ილია ჭავჭავაძის პოემაში ამ ეპიზოდის მთავარი ფუნქცია ისაა, რომ კაკოს ნდობის მოტივაცია დაგვანახვოს, გვაჩვენოს ის, რომ მსგავსი მსგავსს ცნობს, „ვეფხისტყაოსანში“ დამეგობრების სცენებს კონცეპტუალური დატვირთვა აქვს. ვეფხისტყაოსნის მეგობრობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, შთაგონებულია ანტიკური ტრადიციით. ე. ხინთიბიძე ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის მეგობრობის კონცეფციის ინტერპრეტაციისათვის“ გამოყოფს რამდენიმე საყრდენს, რომელთაც ეფუძნება რუსთველის მეგობრობის კონცეფცია. ამ საყრდენთაგან ერთ-ერთი არის არისტოტელესეული მეგობრობის ფილოსოფია: „როგორც ტარიელი მოიხიბლა ნესტანის ხილვით, ასევე პირველი შეხვედრისთანავე მოეწონათ ერთმანეთი ვეფხისტყაოსნის მოყმეებს. ამ მოწონებასაც თავისი მხატვრული საფუძველი აქვს. იგი არაა მხოლოდ თვალით ხილული სილამაზის მოწონება; უწინარესად ამაღლებულის ხილვაა. რუსთველისეულ „მოწონებას“ სხვა ფილოსოფიური დატვირთვაც აქვს. იგი მიუთითებს პოეტის მეგობრობის კონცეფციის ფილოსოფიურ წყაროზეც, რასაც ანტიკურ ფილოსოფიამდე, კერძოდ, არისტოტელეს მეგობრობის კონცეფციამდე მივყავართ, რომლის მიხედვითაც სწორედ

მოწონებაა მიჩნეული იმ დიდი ემოციური განცდის უპირველეს იმპულსად, რომელიც სიყვარულში გადაიზრდება“ (ხინთიბიძე, 2018, გვ. 163). ამ მოვლენას ვ. ნოზაძე უწოდებს თვალახმას, რაც ს. ს. ორბელიანის მიხედვით, თვალით მოწონებას ნიშნავს. გარდა თვალახმისა, რუსთველოლოგი პერსონაჟთა სწრაფ დაახლოებას მათს სოციალურ სტატუსში ხედავს: „მათ ერთმანეთი იცვნეს ერთი და იმავე წრის პირად; მათ კარგად გაიგეს, რომ ისინი ერთი და იმავე სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ“ (ნოზაძე, 2021, გვ. 300). სტატუსი რომ განმსაზღვრელია, კარგად ჩანს ე. ხინთიბიძის მეგობრობის კონცეფციაშიც. იგი, როგორც მოწონების შემთხვევაში, მიუთითებს არისტოტელეს ფილოსოფიაზე, კერძოდ, „ნიკომაქეს ეთიკაზე“.

რა ვითარება გვაქვს ამ თვალსაზრისით ილია ჭავჭავაძის პოემაში? „კაკო ყაჩაღის“ პერსონაჟებიც ერთი სოციალური წრისანი არიან. კერძოდ, კაკოც და ზაქარაც დაბალ სოციალურ კლასს ეკუთვნებიან. მეტიც, ისინი ერთი და იმავე სუბკულტურის წარმომადგენლები არიან. ვგულისხმობ იმას, რომ კაკო ე. წ. კეთილშობილი ყაჩაღია, ამავე გზას დასდგომია ზაქარაც, იგი კლავს ბატონს და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეუერთდეს კაკოს: „შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი, / შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა“ (ჭავჭავაძე, 1987, გვ. 118). ამ ორი პოემის გმირები სხვა მხრივაც ჰგვანან ერთმანეთს, რაც ასევე განმსაზღვრელია პერსონაჟთა დამეგობრებისას. კერძოდ, რუსთაველისა და ილიას გმირები არიან ფიზიკურად ძლიერები და ახლგაზრდები – ეს უკანასკნელიც, სხვათა შორის, ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, ამ გარემოებას ხაზს უსვამს არისტოტელეც. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია თქმული, რუსთაველის გმირებს მათი ახალგაზრდული ასაკიც ეზიდება ერთმანეთისკენ (ხინთიბიძე, 2009, გვ. 569). ამ მხრივაც ენათესავეებიან ილიას

გმირები რუსთველის პერსონაჟებს. ზაქარა 20 წლის ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდაა, ხოლო კაკოს მონაცემებს მეურმის საუბრიდან ვიგებთ:

„მე როგორც ვხედავ, შენც კი გაქვ მკლავი,  
ბევრს შენს ტოლს ბიჭს არ დაუვარდები,  
მაგრამ მაინც თუ გებრალვის თავი –  
ბლაჭიაშვილს ნუ დაენახვები,  
ნურც დაანახვებ შენს ქურან ცხენსა,  
თორემ ის ბიჭი განანებს ბევრს!“ (ჭავჭავაძე, 1987, გვ. 116)

როგორც დავინახეთ, გარდა სოციალური სტატუსისა და საერთო ბედისა, კაკო და ზაქარა ასაკითა და ფიზიკური მონაცემებითაც ჰგვანან ერთმანეთს, ეს ყოველივე კი კეთილგანწყობისა და დამეგობრების საფუძველი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ მოტივი „მსგავსი მსგავსს ცნობს“ ან „გული გულს იცნობს“ არ არის ექსკლუზიურად რუსთველისა, ვფიქრობ, იმის გათვალისწინებით, რომ ილია ჭავჭავაძის პერსონაჟთა მიერ ერთმანეთის მოწონება მკვეთრად აქცენტირებულია, ხოლო პოემას ეპიგრაფად რუსთველის სიტყვები უძღვის და ამავდროულად, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ სხვა კომპონენტებიც ჰგავს „ვეფხისტყაოსანს“, ქმნის იმის საფუძველს, რომ ვისაუბროთ რუსთველის შემოქმედების რეცეფციაზე ილია ჭავჭავაძის პოემაში. თუ წარმოდგენილი თვალსაზრისი სარწმუნოა, შეიძლება ვთქვათ, რომ გ. ჯიბლაძის მიერ შენიშნულ ფსიქოლოგიურ შეუსაბამობას ჰქონია ღრმა საფუძველი და სწორედ ამის ძალითაა, რომ მკითხველი ადვილად იჯერებს პერსონაჟთა დამეგობრების ამბავს.

**დამოწმებული ლიტერატურა**

გუგუშვილი, მ. (1989). „ვეფხისტყაოსანი“ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. *ლიტერატურული ძიებანი*, 3(18).

ნოზაძე, ვ. (2021). *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად: ტომი IV. ვეფხისტყაოსნის საზოგადოებრივ-მეცნიერება.*

რუსთაველი, შოთა. (1988). *ვეფხისტყაოსანი*. მეცნიერება.

ხინთიბიძე, ე. (2009). *ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო*. ქართველოლოგი.

ხინთიბიძე, ე. (2018). *თანამედროვე რუსთველოლოგიური კვლევებით კომენტირებული ვეფხისტყაოსანი*.

ჯიბლაძე, გ. (1983). *ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება და პოეზია): ნაწილი პირველი*.

ჭავჭავაძე, ი. (1987). *თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად: ტომი I*. საბჭოთა საქართველო.

[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/12125/1/Txzulebani\\_I\\_T.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/12125/1/Txzulebani_I_T.pdf)